

FS 7089

ეროვნული
ბიბლიოთეკა


4089

281.78

საქართველოს
განმანათლებლო

გ. 40145.


F 61
4



ს ი ტ ე ე,

თქმული მცხეთის წმ. ნინოს ეკლესიის კურთხევის დღეს,
11 მაისს 1902 წ.

5/5




ქრისტე აღსდგა!

წმინდა იოანე დღე, რომელი ჰქმნა უფადმან, ვიხს-
რებდეთ და ვიშვებდეთ ამას შანა.

ბრწყინვალე და წმიდა ქრისტეს აღდგომის დღესასწაული აწ ჩვენ, ძმა-
ნო, ფრიად გაგვიბრწყინდა: დღეს შეწევნითა ღვთისათა, კურთხევითა და
ხელმძღვანებლობითა ჩვენი სათნო ღვთისა და კაცისა მზრუნველისა,
სრულად ივერიის მღვდელთ-მთავრის ექსარხოსის მაღალ-ყოვლად-უსამღე-
დელოცის მთავარ-ეპისკოპოსის ალექსისათა დამთავრდა და დაგვირ-
გვინდა წმიდა საქმე ამ ცამეტის წლის წინ დაწყებული და ჩვენი ულო-
ნოების და უსაშუალოების გამო აქანამდე დაუმთავრებელი. დღეს მაღლითა
ცხოველ-მყოფელისა და განმანათლებელისა და ყოვლად-შემძლებელისა სუ-
ლისა წმიდისათა და ლოცვითა ჩვენის დიდის მღვდელთ-მთავრისათა ეკურთხა
წმიდა ესე და მშვენიერი ტაძარი, აგებული სადიდებლად სახელისა ღვთისა
და საქმებლად ღირსისა დედისა ჩვენისა, მოციქულთა სწორისა, საქართვე-
ლოს განმანათლებელისა ნინოსა.

ყოველი ახლათ-აგებული და ნაკურთხი ტაძარი ახარებს ყოველ ჴეშმა-
რიტ ქრისტიანის გულს, რადგან საქრისტიანოს ემატება ამით კიდევ ერთი
სახლი ღვთისა, რომელშიაც ქრისტიანნი ემზადებიან ღირს იქმნენ სასუფე-
ველსა. ღვთისასა მაგრამ დღევანდელი დამთავრებული საქმე სხვაგვარ ახარებს
ჩვენს გულსა. ახლად ნაკურთხი ტაძარი არის აშენებული იმადგილს, რომელ-
საც ყოველთვის ეტრფიან გულნი საქართველოს ძეთა. ჩვენ დღეს ვდგევართ
და ვადიდებთ ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა სწორეთ იმ ადგილს, სადაც თე-
ქესმეტი საუკუნის წინ იდგა და ევედრებოდა ქრისტესა, რათა დამკვიდრე-
ბულიყო გულთა შინა ძეთა ივერიისათა და მშვიდი, სადმართო და მაცხოვრებელი
სარწმუნოება იესოსი, ახალგაზდა ასული ღვთის-მცირე სათნოებით უხვად შემ-

გვ. 14. გ. (25x16) 1902. 7



კული მოციქულთა სწორი, ქართველთა ცხოვრების განსაზღვრელად განგებისაგან მოვლინებული წმიდა ნინო, საბერძნეთიდან მოსული, ღვთის-მშობლის ხედრის—საქართველოს გასანათლებლად.

როგორ არ უნდა გვიხაროდეს და როგორ არ უნდა ბრწყინვალეთ ვდღესასწაულობდეთ ჩვენი ცხოვრებისთვის ამ ფრად შესანიშნავ დღესა?! გვეღირსა ჩვენ არა თუ ნახვა და თაყვანის-ცემა ამ წმიდა ადგილისა, ამ წმიდა ალაგისა ივერიის ემბაზისა, არამედ მონაწილეობის მიღება მშვენიერი ტაძრის დამთავრება-კურთხევაში. და ამ ჩვენმა სადღესასწაულო მხიარულებამ უნდა ორკეც იმატოს, იმიტომ, რომ დღეს ჩვენ ჩვენის თვალთ ვნახეთ და თაყვანისცემას ვეღირსეთ ღვთის-მშობლის-მიერ წმიდა ნინოსთვის ნაბოძები ვაზის ჯვრისას, რომელიც ჩვენის განმანათლებლის თმით შეკრულია და რომლითაც მან, ღვთივ გაბრძნობილმან, ჩვენი საყვარელი ქვეყანა ქრისტეს ცხოველ-მყოფელი სწავლით გააბრწყინვა. ამ ღრმად-მნიშვნელოვანის დღისთვის კეთილ-ინება ღმერთმან ჩანერგვა გულსა შინა ჩვენის უფროსი მღვდელთ-მთავარისასა სურვილისა, რათა მას დაეძრა საქართველოს დედა-ქალაქის ტფილისის დიდებულის სიონის ტაძრიდამ ეს წმიდა ჯვარი, რომელიც ამ ასის წლის წინათ დაუბრუნა საქართველოს, თვისის სიყვარულის ნიშნათ, გამოჩინებულმა მთელს ქვეყანაზე თავის კეთილშობილობით, ჩვენმა იმპერატორმა, ალექსანდრე პირველმა კურთხეულმა რუსეთიდან, სადაც წასვენებული იყო საქართველოს არეულობის ჟამს და ინახებოდა ივერიის მეფეების ჩამომავლობის სახლობაში და უკანასკნელათ მიერთებულ იქმნა ხსენებულ იმპერატორისადმი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ წმიდა ჯვარი ესე დღემდის არ დაძრულა თავის ალაგიდამ, დღეს კი მოსვენებულ იქმნა აქ, რათა მიიღოს მონაწილეობა ჩვენს დღესასწაულში, რათა ქვეყნიერი და ზეციერი ეკლესია თვალ-საზილველად შეერთდეს ამ წმიდა ტაძარში და ერთითა გულითა და ერთითა პირითა აქონ და აღიდონ ქრისტე ღმერთი ჩვენი მის წმიდა სარწმუნოების საქართველოში დაარსებისა და დამტკიცებისთვის ეს დღე უნდა იყოს ჩვენთვის დღესასწაული დღესასწაულთა. დღეს ჩვენ შეძლება მოგვეცა, რომ თვალი გადავაგლოთ ჩვენს წარსულს და ვნახოთ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენთვის ჩვენთა კეთილშობილთა წინაპართა, რომელნიც სწირავდნენ თვის სისხლსა ღვთის-მიერ მოვლინებული სარწმუნოების დაცვას! დღეს ჩვენ პირ-და-პირ ვრწმუნდებით, რომ ჩვენი წინაპრების ოფს და სისხლს არ ჩაუვლია ამაოთ, არამედ მოუცია ჩვენი ქეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებისათვის მოუკლებელი და დაუშრეტელი ნაყოფი. დღეს ჩვენ ცხადათ ვხედავთ, რომ მრავალ-ტანჯულს ჩვენს სამშობლოს მიანიჭა უფალმან მშვიდობა და მის გამგეებს ჩაუნერგა მშობლიური სიყვარული ამ წმიდა საქმის დაცვისა, ესე იგი სარწმუნოების აღყვავებისა, წმიდა ტაძრების აღდგენისა და ღვთისაგან გამოჩინებული და ნაკურთხი ალაგების გამშვენებისა, სწორეთ იმ საგნისა, რომელსაც სწირავდნენ სიცოც-

ხლეს ქრისტეს მოყვარე ივერიის შვილნი მტრებთან ბრძოლაში. ქრისტეს სარწმუნოების საქართველოში დამყარებიდან ვიდრე ერთ-მორწმუნე და სულიერ მონათესავე დიდებულ რუსეთთან შეერთებამდის, როგორც ყველა ჩვენგანმა უწყის, საქართველო გამუდმებულად ებრძოდა მრავალ-რიცხოვან მტერს, რათა დაეცვა წმიდა მართლმადიდებლობა მათგან შეუბღალავად. ყოველ დღე საქართველოს დიდ თოვლიანი მთანი, მშენებრათ მორაგულნი ტყენი და მრავალ-ფერადი მთხატულნი მისი ველნი უხვად ირწყვებოდნენ წმიდა მოწამეთა პატიოსანი სისხლით, რომელნიც, როგორც ძველის აღთქმის ზვარაკნი, იხოცებოდნენ ქართველთა საკეთილდღეოდ. საქართველოს შეგნებული ჰქონდა, რომ მის დანიშნულებას კაცობრიობის ცხოვრებაში შეადგენდა ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვა ღვთის-მშობლის წილხდომილს ქვეყანაში,—და ამიტომ ჩვენმა სამშობლომ თავისი ცხოვრება მთლათ უმსხვერპლა ქრისტეს სამოციქულო და მსოფლიო, ესე იგი კათოლიკე ეკკლესიის გამტკიცებას. საქართველომ არ იცოდა, რა იყო და ღლა, არ იცოდა, რა იყო მოსვენება, დილიდგან საღამომდინ და საღამოდგან დილამდის იგი ღმერთს ემსახურებოდა და მას აღიდებდა. ერთის მხრით, მისი შვილები ებრძოდნენ ქრისტეს სარწმუნოების და მასთანავე სამშობლოს მტრებს, რადგან მართლმადიდებელი ეკკლესია და საქართველო შესისხლ-ხორცებულნი იყვნენ, არიან და იქნებიან, და მართლმადიდებლობის მტერი ქართველების მტერიც იყო. მეორე მხრით კი, ყოველ ამაღლებულ ადგილს აშენებულ ტაძრებში აღიდებდნენ დამბადებელს, რომელიც რიცხვით მცირე ქრისტე მოყვარე ივერიის ძეთა მოსავდა ზეციური ძალით, რათა წინააღ-დგომოდნენ ღვთის მტრებს საქართველოში უსჯულოების დაწესების და უწმიდურების გაბატონების საქმეში. საქართველო არა ქვეყნიურსა, არამედ ზეციურსა ზრახევდა (კოლ. 3, 2) საქართველო გრძნობდა და თავისი ცხოვრებით ეუბნებოდა მთელს ცის ქვეშეთს: „არა მაქვს ჩვენ აქა საუფუჯად ქაღაქი, არამედ მერმესა მას ვეძიებთ (ებრ. 13, 14) და ამიტომ თვით მოციქული უთხრობს ივერიის ძეთა: მოსრუდნათ თქვენ მთასა სიონსა და ქაღაქსა ღმრთისა ცხოველისა, იერუსალიმსა ზეცისასა და ბევრეუფსა ანგელოზთა კრებულსა, და ეკკლესიასა ჰირმშობთასა, აღწერილსა ცათა შინა (ებრ. 12, 20). მიახლებული მთასა წმიდასა ქართველნი სცნა უფალმან, ზეციერმან მამამან, თვინიერ რომლისა არა რა დავარდების ქვეყანასა ზედა (მათ. 10, 29) და რომლის-მიერ ჩვენი „თავისა თმანიცა უფადნი განაწესილ არიან (მათ. 10, 30), აღუსრულა საქართველოს ბრძანება მხოლოდ-შობილისა ძისა თვისისა: თმანიცა თავისა თქვენისა არა წარჭსწყმდეს (ლუკ. 21, 18) და მოანიჭა საქართველოს ყოველი ის, რასაც კი მოელის ქვეყანისაგან კაცობრიობა. საქართველო ეძიებდა მხოლოდ ზეციერსა, და ქვეყნიერიც არ დაუკარგა უფალთა უფალმან.


რამდენს ერს და სახელმწიფოს, მარტო საამქვეყნო ბედნიერების მაძიებელს, იცნობს მსოფლიო ისტორია, რომელნიც საქართველოზე აღრე გამო-

ვიდნენ სამოქალაქო სარბიელზე და თავისი რიცხვით, ცოდნით, გამჭრიახობით, სიმდიდრით მალლა იდგნენ ჩვენს სამშობლოსა და ერზე, მაგრამ ამოიფხვრენ და დაილუბნენ, აღარ დარჩა ქვა ქვაზე იმათს სამფლობელოში, მოისპო მათი სიმდიდრე, განქრა მათი მეცნიერება, უნაყოფოთ დარჩა მათი გამოქრიახობა, მოისპო მათი ენა და დაიფანტა მათი ერი. მრავალ-ტანჯული საქართველო კი პატარა და თვის უსჯულო მტრებთან შედარებით ულონო, ძალითა ღვთისათა, ცოცხალ არს და მშვიდობით არსებობს. ქართველთა სამშობლო განძლიერდა და გადიდდა, საქართველო გახდა ნაწილი დიდებული მართლმადიდებელ სახელმწიფოსა. საქართველოს დაუძინებელნი მტერნი ყიზილბაშნი, ოსმალონი, ლეკნი და სხვანი, აწ გახდნენ საქართველოს შვილთა მორჩილნი მეზობელნი და პატივის-მცემელნი. მტერი ველარ ჰბედავს საქართველოს შეწუხებას, მის შვილთა დაწიოკებას. ერთი სახელის გახსენებაც საქართველოს საყვარელის მეფის ქრისტეს მსახურის ნიკოლოზ მერისა, სრულიად რუსეთის უთვითმპყრობელის იმპერატორისა, შემუსრავს, შეაძრწუნებს და უკან აქცევს ყოველსა საქართველოსთვის ავის მსურველსა. წმიდა დიდებულნი საქართველოს ტაძარნი დაცულ არიან და ძმური შიდა რუსეთიდგან გადმოცემულ შეწირულებით ჰშვენდებიან, ენა ჩვენი მოისმის საქართველოს ყველა კუთხეებში. წმიდა ჩვენს მონასტრებსა და ტაძრებში ქართველთა შორის მოისმის ღვთის ვედრება ჩვენ მშობლიურ ენაზე. ჩვენი მღვდელთ-მთავარნი, საქართველოს კათალიკოსთა მოადგილენი, წარმომადგენელი უწმიდესი სინოდის გამგეობისა სრულიად რუსეთის ეკლესიისა, რომელსაც შეუერთდა სამუდამოთ ივერიის ეკლესია, და მისი თანამართველნი ეპისკოპოსნი ევედრებიან ქართველთა მოძღვართა, რათა ყველგან ეკლესიებში, სახლში, სასწავლებლებში მშობლიურ ქართულ ენაზე ექადაგოს ქართველ ერს ქრეშმარიტებანი ქრისტეს მოძღვრებისა და მისი მაღალი ზნეობრივი სწავლა. სამღვდლო და სამხედრო გამგენი სცდილობენ, რომ ჩვენ წმიდა ტაძრებში სუფევდეს ჩვეულებრივი სიწმიდის შესაფერი წესი, რომ ყველგან მოისმოედეს ტკბილი ქართული გალობა. ქართველთა ერს მინიჭებული აქვს ყოველივე ქრისტიანული თავისუფლება და რუს—მოძმეთაგან არ არის გამორჩეული არაარაითა; ყოველი ქართველი მართლმადიდებელი საყვარელი შვილია მართლმადიდებელ რუსეთისა. ამას ყოველი ქრეშმარიტი მართლმადიდებელი ქართველი ჰგონობს და სცდილობს თავისი შვილებრივი ერთგულება დაუმტკიცოს ტახტსა და სამშობლო სახელმწიფოს. ამიტომ ჩვენც ამ წმიდა ამბიონიდან ვაცხადებთ და ვქადაგებთ ამას და ვადიდებთ უფალსა, რომელმაც მოანიჭა საქართველოს მშვიდობა და კეთილდღეობა. დღეს საქართველოს მართლმადიდებელ ერს შეუძლიან წარმოსთქვას წმიდა პავლე მოციქულის სიტყვები: აჴა ესერა აწ არს ყამი იგი შეწენარებისა, აჴა ესერა, აწ არს დღე იგი ცხადრებისა (2 კორ. 6, 2). დღეს ჩვენ უფლისა-მიერ გვწამს, რომ ეხლა ამ წმიდა ტაძარში, ამ პატიოსან ვაზის ჯვართან სდგანან ზეციური მხი-

არულებით საესენი, საქართველოს წმიდა მოღვაწენი, ივერიის მოციქული ნინო
 წმიდანი კეთილ-მსახური მირიან მეფე, მეუღლე მისი ნანა, ნეტარი და დიდებუ-
 ლი თამარ, დავით აღმაშენებელი, ქრისტეს ტარიგი ქეთევან და დანარჩენნი
 ივერიის კეთილ მსახური მეფენი და დედოფალნი და ყოველნი წმიდანი სა-
 ქართველოს ძენი, რომელთაც დაუთხვავათ სისხლი თვისი ქრისტიანობის თა-
 ვის სამშობლოში დაცვისათვის და ეს ღვთიური კრება ჩვენთან ერთად ადი-
 დებს, ჰმადლობს და ევედრება უფალსა, რათა განძლიერდეს რუსეთი და მი-
 სი მართლმადიდებელი გვირგვინოსანი ხელმწიფე წმ. ეკკლესიის ერთგულ
 შვილი, მშვიდობის მომნიჭებელი და ქრისტიანობის დამცველი. ქე-
 ჴმარიტათ, ივერიის ეკკლესია დღეს კეთილ პირობებშია თავის წმიდა მი-
 ჴნის მისაღწევათ. მაგრამ, სამწუხაროთ, ჩვენ ვერ ვსარგებლობთ ამ პირობე-
 ბით. უნდა აღვნიშნოთ ის არა სასურველი ჩვენი ცხოვრების მოვლენა, რომ
 ქართველ ერის უმრავლესობა არ ჰბაძავს კეთილმსახურებას თავის წინაპართა
 და გულ-გრილ ათ ეკიდება თავის მშობლიურ სარწმუნოებას. საქართველოს
 ამისთანა შვილთა ავიწყდებათ ის ისტორიული ქეჴმარიტება, რომ სარწმუ-
 ნოების მიმართ გულგრილობას მოსდევს თან ერის გადაგვარებაც. საქართვე-
 ლოს შვილნი, ძველი სამცხე-ჯავახეთის, აჭარის და ლაზისტანის მცხოვრე-
 ბნი მართლმადიდებელ სარწმუნოების იძულებით დატოვების გამო გადაგვარ-
 დნენ, გათათრდნენ. ეს სამწუხარო მოვლენა გამოიწვია საქართველოში
 მტრის შემოსევამ და გაბატონებამ. მაგრამ ეხლა კი რა მიზეზი ჰხდის ქართვე-
 ლთა გულგრილთა და აშორებს ეკკლესიას? მრავალნი სცდილობენ გამოი-
 რკვიონ და ჰპოვონ მიზეზი ამისთანა სულისა და ხორცის მავნებელის მოვ-
 ლენისა და ადვილათაჲ ჰპოულობენ ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზს. მიზე-
 ჴი გულგრილობისა არის ისევე მტერი—უწინდელ მტერზე არა ნაკლები და
 საშინელი. წინანდელ მტერს ჰხედვიდა მაინც კაცი და შეეძლო მომზადებუ-
 ლიყო მასთან საბრძოლველათ, ახლანდელნი მტერნი კი იმალებიან თვით
 ერში და შეუმჩნევლნი ჰხდებიან. ესენი ჩვენგან განვიდეს, არამედ არა იყ-
 ვნეს ჩვენგანნი (1 იოან. 2, 19). მოერიდებით ამ მტრებს, რომელნიც ნამ-
 დვილნი მგელნი არიან, მაგრამ სახითა ცხვრებათ გვეჩვენებიან და მრავალ
 სახით სცდილობენ დაგვიმტკიცონ თვისი მეგობრობა და ერის სიყვარული.
 ამგვარნი მტერნი, ერში დაფანტულნი და დამალულნი—მრავალნი არიან, და
 თუმცა იმალებიან, მაგრამ საქმენი მათნი ბოროტნი ცხადათ ჰხდებიან მათ. ამი-
 ტომ შეგვიძლია ადვილად ვიცნოთ ეს მტრები. ზოგიერთნი
 მათგანნი, რომელთაც აქვთ ხატი ღვთის მსახურებისა და ძალსა მი-
 სსა კი უარ ჰყოფენ (კონდ. 2, 18), სცდილობენ შევილწონ თვისი
 ქეჴმარიტება და დაუკარგონ ეკკლესიას თავისი ღვთიური მიზანი. ესენი ამა-
 ხინჯებენ სარწმუნოებას, სარგებლობენ ყოველივე სიწმიდით, რომ მიაღწი-
 ონ თვის მართლ ქვეყნიურს გაუმადლარს პატივს და დიდებას, შეჴყავთ შე-
 ცთომში თავიანთი თანამემამულენი—მართალნი გულითა, უბნელებენ მა-

თვალს, აძულებენ ჭეშმარიტს ღვთის ეკკლესიას, ჰსდევნიან ქრისტეს გულთაგან თავიანთი მსხვერპლისა, იმორჩილებენ ხორცსა და სისხლსა თვისთა ძმათა. მეორენი ესევიან ერს მეცნიერების სახელით, თუმცა კი ამ უბედურთა არც კი შეგზებით მეცნიერება, რომელთანაც უფრო ნაკლები კავშირი აქვს, სანამ ეკკლესიასთან, რომელსაც გაუბიან, თუმცა ეკკლესიის დეჰედს ატარებენ კიდევ თავის შუბლზედ და როდესაც სჭირდებათ თვალთმაქცურათ აღიარებენ თავსა თვისსა ეკკლესიის შვილებათ. ესენი ურყენიან ერს გონებას, უფუჭებენ გულს, უკარგავენ ზნეობას და სამუდამოთ აშორებენ ჭეშმარიტს ნათელს და ზეციურ სიბრძნეს ქრისტე-ღვთისას. მესამენი დაბრმავებულინი ამპარტავნობით, ამოღ განლაღებულინი გონებითა მით ხორცთა მათთასა (კოლ. 2, 18), სცდილობენ ერის დამორჩილებას წარმართულ სიბრძნის მოყვარებითა და ცუდითა საცთურითა მოძღვრებისამებრ კაცთასა წესთა მათებრ ამის სოფლისა და არა ქრისტეს მიერ (კოლ. 2, 2). გველური გესლიანი სიტყვით ავრცელებენ ზალხში თავის სასიკვდილო აზრებს, მართალთა სდევნიან ცუდი ხმების მათზე გაავრცელებით, სთესვენ ერში ორგულობას, ძმათა შეძულებას, ხელმძღვანელობენ ყოველივე ბოროტულ მოქმედებით, რათა მოუკლან ქართველ ერს სასოება და სიყვარული სარწმუნოება, ერთი სიტყვით, ჰსტაცებენ ქართველებს იმას, რაც ძალ-მომრეობით ვერ წაართვა ივერიას გამგელებულმა მის შესაქმელათ სათათრეთ-სპარსეთმა. ძალიან დიდხანს მოუწოდებოდით სულიერ მტერთა თვისებების აღწერას, მრავალ მათგანზედ მაგრამ ამ წმიდა ამბიონილამ არა ჯერ-არს საუბარი. გთხოვთ მხოლოთ, საყვარელნო ქრისტეს მიერ ძმანო, განეშორეთ ამათგან (2 ტიმ. 3, 5), ეკრძალებოდეთ ძაღლთა მათგან, ეკრძალებოდეთ ბოროტთა მათგან მუშაკთა (ფილიპ. 3, 2). ამიერიდგან, ძმანო ჩემნო, გიკითხავთ და გლოცავთ უფლისა მიერ იესო ქრისტესა, რათა, ვითარცა იგი ისწავენ თქვენ წინაპართაგან, ვითარ ჯერ-არს თქვენდა სლვაჲ და სიტნო ყოფაჲ ღმრთისა, ეგრეცა ჰხეიდოდეთ, რათა უფროს ჰმატებდეთ (1 თეს. 4, 1). გლოცავ თქვენ, ძმანო, ჰსწავლიდეთ უწესოთა მათ (1 თეს. 5, 14), ყოველივე გამოიცადეთ და უკეთესი იგი შეიკრძაღეთ, სულსა ნუ დაივიწყებთ, ყოველისაგან საქმისა ბოროტისაგან განეშორენით (1 თეს. 5, 21, 22). ხოლო ღმერთმან მშვიდობისაგან შეჰმუსრენ ეშმაკი ქვეშე ფერხთა თქვენთა აღრე. მაღლი უფლისა იესო ქრისტესი თქვენ ყოველთათანა. **ამინ** (რომ. 16, 20).

დაძმატრი, ეპისკოპოსი ალავერდისა.



2570

